საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ეროვნული გმირი

ეროვნული გმირი მრავლად ჰყავს ჩვენს ქვეყანას. ერთი მათგანის საფლავს სწორედ ეს სიტყვები ამშვენებს: „საქართველოს ეროვნული გმირი". ეს გახლავთ პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. ის სისხლით იცავდა სამშობლოს თავისუფლებას 1921-1924 წლებში.

ქაიხოსრო დაიბადა კახეთში, სოფელ მატანში. მოფერებით მას ქაქუცას ეძახდნენ. 1907 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. 21 წლის ქაქუცა რუსეთის იმპერიის ჯარში გაიწვიეს. ის ბავშვობიდან კარგი მოჯირითე იყო და ამიტომ კავალერისტობა აირჩია (კავალერია ნიშნავს ცხენოსან ჯარს). მალე საუკეთესო სამხედრო ნაწილში გადაიყვანეს. იქაც გამოიჩინა თავი და ოფიცრის წოდება მიიღო ისე, რომ არავითარი სამხედრო სასწავლებელი არ დაუმთავრებია. ეს დიდი იშვიათობა იყო. მხოლოდ ძალიან მამაცსა და ნიჭიერ ჯარისკაცებს ერგებოდათ ხოლმე ასეთი პატივი.

1912 წელს ქაქუცა საქართველოში დაბრუნდა. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და ის კვლავ თავის ნაწილში გაიწვიეს. ქაქუცას ეამაყებოდა თურქების მიერ მიტაცებული ქართული მიწების გამოხსნაში მონაწილეობის მიღება. თურქებმა საქართველოს სამხრეთ საზღვართან დაიკავეს მნიშვნელოვანი მაღლობი - „არწივის ბუდე". ეს მათ ბათუმისკენ გაჭრისა და მთელი აჭარის მიტაცების საშუალებას აძლევდა. თურქ მეომრებს თვით თურქეთის თავდაცვის მინისტრი მეთაურობდა. ქაქუცას ასეულმა საარაკო გმირობა გამოიჩინა და თურქები განდევნა. გამოჩენილი გმირობისთვის ქაქუცას ჯილდოდ ოქროს ხმალი გადასცეს.

1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ქაქუცა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. ის რუსეთისა და საქართველოს ომის დროს მეთაურობდა ქართულ კავალერიას. 1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისი აიღო. ქვეყანა ისევ რუსეთის ხელში აღმოჩნდა. მთავრობა საფრანგეთში გაიხიზნა. ქაქუცა აქ დარჩა აჯანყების მოსაწყობად. შეიქმნა „შეფიცულთა რაზმები". ისინი ტყეში, შენიღბულ ქოხებში ცხოვრობდნენ. სულ

LIVEWORKSHEETS

მალე ქაქუცას მეთაურობით აჯანყება ხევსურეთში დაიწყო. მას უკვე ჰქონდა მათთან ერთად ბრძოლის გამოცდილება. ქაქუცას გეგმით, აჯანყებაში მთელი ქვეყანა უნდა ჩაბმულიყო. სამწუხაროდ, მეომრებს პირველი წარმატების შემდეგ დროულად არც იარაღი მიაწოდეს და არც მაშველი ჯარი გაუგზავნეს. მტერმა სიმრავლით შეძლო გამარჯვება. მიუხედავად ბევრი მეთაურის დახვრეტისა, დიდი აჯანყების მოწყობა მაინც გადაწყდა. 1924 წლის 29 აგვისტოს საქართველოს ყველა კუთხეში ერთსა და იმავე დროს უნდა დაწყებულიყო გამოსვლა. ფიქრობდნენ, უეცარი შეტევა მტერს დააბნევდა. სიმრავლის მიუხედავად, მისი დამარცხებაც ადვილი იქნებოდა. დათქმული დღისთვის უამრავი ადამიანი ემზადებოდა. რაზმებში ახალ წევრებს იღებდნენ, იარაღს აგროვებდნენ.

არავინ იცის, ღალატმა ჩაშალა ეს გეგმა თუ უნებლიე შეცდომამ... ვიღაცამ ჭიათურაში არასწორად მიიტანა ინფორმაცია აჯანყების დაწყების თარიღთან დაკავშირებით და იქ ერთი დღით ადრე დაიწყო შეიარაღებული გამოსვლა. რუსებმა მოამზადეს ჯარები და დაიწყეს აჯანყების სავარაუდო მონაწილეთა დაპატიმრება. აჯანყება 29 აგვისტოს მაინც დაიწყო. მაგრამ მცირე ძალებით უკვე შეუძლებელი იყო მრავალრიცხოვანი მტრის განადგურება.

ქაქუცა და მისი შეფიცულები ისევ ტყეში გაიხიზნენ და კვლავ შიშის ზარს სცემდნენ მტერს. მაგრამ მალე იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ სამშობლო.

ქაქუცას უცხოეთში დიდხანს აღარ უცოცხლია. ძველმა ჭრილობებმა შეაწუხა. მაგრამ ის უფრო მეტად გატანჯა სევდამ, რომელიც გამოწვეული იყო სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო. მან ამ ნოსტალგიას ვერ გაუძლო და 1930 წელს გარდაიცვალა. 2015 წელს ეროვნული გმირი საქართველოში გადმოასვენეს და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გამოუშვა 200-ლარიანი კუპიურა, რომელზედაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტია გამოსახული. მისი სახელი ეწოდა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. ქაქუცა ჩოლოყაშვილს გამონაკლისის სახით ოფიცრობა სამხედრო სასწავლებლის დაუმთავრებლად მიანიჭეს, რადგან:

ა) ბავშვობიდან ძალიან კარგი მოჯირითე იყო.

ბ) გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით, სიმამაცით.

გ) რუსეთის იმპერიის ჯარში მსახურობდა.

2. ქაქუცას პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობა ეამაყებოდა, რადგან:

ა) თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნების საშუალება ეძლეოდა.

ბ) კვლავ თავის სამხედრო ნაწილში მსახურობის საშუალება ეძლეოდა.

გ) მინიჭებული ოფიცრის წოდების გამართლების საშუალება ეძლეოდა.

3. რატომ იყო მნიშვნელოვანი „არწივის ბუდიდან" თურქების განდევნა?

ა) ამ მაღლობისთვის ბრძოლას თვით თურქეთის თავდაცვის მინისტრი მეთაურობდა.

ბ) ეს მაღლობი თურქებს აჭარის ადვილად დაპყრობის საშუალებას აძლევდა.

გ) ეს მაღლობი თურქეთ-საქართველოს საზღვართან ძალიან ახლოს მდებარეობდა.

4. როდის მოხდა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება ქაქუცას მეთაურობით?

ა) 1924 წელს. ბ) 1918 წელს. გ) 1921 წელს.

5. რატომ გადაწყვიტა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა აჯანყების დაწყება ხევსურეთიდან?

ა) მას უკვე ჰქონდა მამაც ხევსურებთან ბრძოლის გამოცდილება.

ბ) მისი რაზმები ხევსურეთის ტყეებში, შენიღბულ ქოხებში იყო განლაგებული.

გ) „შეფიცულთა რაზმები" უპირველესად სწორედ ხევსურეთში შეიქმნა.

LIVEWORKSHEETS

6. აჯანყებისას რა გზით ფიქრობდა ქაქუჩა ჩოლოყაშვილი მტრის დამარცხებას?

ა) აჯანყება ქაქუცას რაზმებსა და მაშველ ჯარს ერთობლივად უნდა წამოეწყოთ.

ბ) აჯანყება ქვეყნის ყველა კუთხეში ერთდროულად და მოულოდნელად უნდა დაწყებულიყო.

გ) პარტიზანული რაზმების მოულოდნელ თავდასხმებს უნდა დაესუსტებინა მტერი.

7. რამ გამოიწვია 1924 წლის 29 აგვისტოს აჯანყების მარცხი?

ა) აჯანყების სავარაუდო მონაწილეთა დაპატიმრებამ.

ბ) მოწინააღმდეგის რიცხობრივმა უპირატესობამ.

გ) ქართველთა ღალატმა ან უნებლიე შეცდომამ.

8. „ნოსტალგიას ვერ გაუძლო და 1930 წელს გარდაიცვალა“. რას ნიშნავს ხაზგასმული სიტყვა?

ა) თანამებრძოლთა მონატრებით გამოწვეულ წუხილს.

ბ) მოუშუშებელი ჭრილობებით გამოწვეულ ტკივილს.

გ) სამშობლოს მონატრებით გამოწვეულ სევდას.

1. მოხუცმა ვეზირმა მეფის **წყალობა** დაიმსახურა. აქ სიტყვა **წყალობა** ნიშნავს:

ა) გულისწყრომას. ბ) კეთილგანწყობილებას. გ) სიყვარულს.

2. ბავშვები თავიანთი **სილაღით** გამოირჩევიან. აქ სიტყვა **სილაღე** ნიშნავს:

ა) გამოუცდელობას. ბ) გულახდილობას. გ) თავისუფლებას.

3. ეს **დროული** კაცი როგორ მომატყუეს თითისტოლა ბავშვებმაო, - წუხდა პეტრე. აქ სიტყვა **დროული** ნიშნავს:

ა) მოხერხებულს. ბ) მოხუცს. გ) ჭკვიანს.

4. დავითისა და ბექას **საარაკო** საქმეებზე მთელი უბანი ლაპარაკობდა. აქ სიტყვა **საარაკო** ნიშნავს:

ა) მხიარულს. ბ) საოცარს. გ) სასარგებლოს.

5. არწივმა **მახვილი** ბრჭყალებით აიტაცა ბეკეკა. აქ სიტყვა **მახვილი** ნიშნავს:

ა) ბასრს. ბ) დიდს. გ) მოკაუჭებულს.

LIVEWORKSHEETS

6. იმისთანა სიტყვა თქვი, რომ ხვალ იმ სიტყვამ არ **გაგაწბილოსო**.
   აქ სიტყვა **გაგაწბილოს** ნიშნავს:

   ა) გაგაოცოს. ბ) დაგაბნიოს. გ) შეგარცხვინოს.

7. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი **დაზავდნენ**.
   აქ სიტყვა **დაზავდნენ** ნიშნავს:

   ა) დაიღალნენ. ბ) დაიშალნენ. გ) შერიგდნენ.

8. პატარა ნიკამ **დარბაისლურად** დაუკრა თავი სტუმრებს.
   აქ სიტყვა **დარბაისლურად** ნიშნავს:

   ა) დინჯად. ბ) მხიარულად. გ) სერიოზულად.

9. **გლუვი** შეიძლება იყოს:

   ა) ბალახი. ბ) მიწა. გ) ქვა.

10. დიდი წვიმების შედეგად მოვარდნილი წყალი არის:

   ა) ნიაღვარი. ბ) ჩანჩქერი. გ) წუმპე.

11. დაასრულე წინადადება: ძველი ეკლესიის ეზოში დიდხანს ისხდნენ
   მეგობრები და მშვიდად ..... .

   ა) კინკლაობდნენ. ბ) მუსაიფობდნენ. გ) ჯიჯღინებდნენ.

12. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში:
   უცებ უკმაყოფილო მყიდველთა შორის ..... ატყდა.

   ა) მუსაიფი. ბ) საუბარი. გ) ჩოჩქოლი.

13. შეარჩიე სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია წინადადებაში: აღტაცებისაგან
   ..... თვალებით ყველანი მისკენ იყურებოდნენ და ტაშს უკრავდნენ.

   ა) გაბრწყინებული. ბ) დაღონებული. გ) შემკრთალი.

14. **პირმოთნე** მსახური ლუარსაბს ყველაფერში ეთანხმებოდა.
   რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი?

   ა) ერთგული. ბ) ორპირი. გ) ჭკვიანი.

15. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიური გამოთქმა **თავს მოუქონავს**?

   ა) გულის მოგებას შეეცდება.
   ბ) თავზე ქონს მოუსვამს.
   გ) თავს უშიშრად გაწირავს.

LIVEWORKSHEETS

16. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიური გამოთქმა **ჭურში ზის**?

ა) არაფერი ადარდებს.

ბ) არაფერი აინტერესებს.

გ) არაფერი გაეგება.

17. ლაშას **ცხვირი ჩამოეშვა**, რადგან წვიმის გამო ეზოში ვეღარ გადიოდა. **ცხვირი ჩამოეშვა**, ანუ:

ა) გატრუნულიყო. ბ) მოეწყინა. გ) შეფიქრიანებულიყო.

18. ჭადრების ხასხასა ფოთლებზე ისე ცეკვავენ ოქროსფერი სხივები, მნახველს **გული უნათდება**. **გული უნათდება**, ანუ:

ა) ეღიმება. ბ) სიამოვნებს. გ) უკვირს.

LIVEWORKSHEETS